

(ექსპროპრიაციის) შესახებ;

ამ კანონის საფუძველზე ექსპროპრიაციის კანონი “ბი-პი”, ვალდებულია დაიქირავოს ექსპერტი, რომელიც განსაზღვრავს თქვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას.

ღირებულების განსაზღვრის შემდეგ “ბი-პი” დაიწყებს თქვენთან მოლაპარაკებას.

კომპანია “ბი-პი“-მ უნდა შემოგთავაზოთ დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ განსაზღვრული მიწის ნაკვეთის ღირებულება;

გათვალისწინეთ!

“აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად:

“ქონების შეძენის შესახებ წინადადება უნდა ითვალისწინებს აგრეთვე იმ ქონების კომპენსაციასაც, რომლის ზომა, ფორმა და მდგომარეობა უმნიშვნელოა ან არაეკონომიურობის გამო ნაკლებად ღირებული, მაგრამ დაკავშირებულია შესაძენ ქონებასთან და ამ ქონების გარეშე გამოუსადეგარია.”

თქვენ უფლება გაქვთ სარჩელით მიმართოთ სასამართლოს.

სასამართლო თავის მხრივ, ქონების შეფასების მიზნით, დანიშნავს დამოუკიდებელ ექსპერტს. სასამართლო:

- დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის;
- მხარეთა მიერ წარდგენილი

მტკიცებულების საფუძველზე დაადგენს ქონების საკომპენსაციო თანხის საბოლოო შეფასებას, რომელსაც შემდეგ გადაგიხდით კომპანია “ბი-პი.”

გათვალისწინეთ!

თქვენ არ ანაზღაურებთ სასამართლოს ხარჯებს.

“აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, ექსპროპრიაციის კანონი “ბი-პი” ვალდებულია აანაზღაუროს:

- მხარეთა მიერ გაღებული ყველა ხარჯი;მათ შორის;
- სამართალწარმოების ხარჯები;
- საექსპროპრიაციო-ჩამოსართმევი ქონების შეფასების ხარჯები;
- საექსპროპრიაციო-ჩამოსართმევი ქონების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები.

ასევე, “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, როდესაც ხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეფასება, ხდება მასზე არსებული ნათესების საკომპენსაციო თანხის განსაზღვრა იმ შემოსავლის გათვალისწინებით, რომელსაც ქონების მესაკუთრე მიიღებდა მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში.



შენიშვნებისა და წინადადებისათვის გთხოვთ მოგვამართოთ შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი. მცხეთის ქ.1, ბინა 12, 380079 ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა” ტელ: +99532 22 38 74 ფაქსი:+99532 22 33 47 ელ.ფოსტა: greenalt@caucasus.net www.greenalt.wanex.net



დაიცავით თქვენი უფლებები!

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მიწათმოსარგებლებისათვის

თუ თქვენს საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი მოქცეულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენების მშენებლობისათვის განკუთვნილ 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში, ის ექვემდებარება შესყიდვა-კომპენსაციას.

თქვენ მიიღებთ კომპანია ბრიტიშ პეტროლიუმისაგან (პროექტის მიწის შეძენის ჯგუფისაგან) შეგყობინების წერილობით პაკეტს თანხის შეთავაზების თაობაზე.

პაკეტში შესაძლოა ჩადებული იყოს სხვადასხვა სახის დოკუმენტები, მაგრამ თქვენ ასევე უფლება გაქვთ მოითხოვოთ, რომ შეგყობინების პაკეტში იდოს შემდეგი დოკუმენტები:

- ხელშეკრულების ფორმა;
- საინვენტარიზაციო შეთანხმების ასლი, რომელსაც თქვენ ხელი მოაწერეთ თქვენი მიწის ნაკვეთის აღწერის დროს.

მას შემდეგ, რაც მიიღებთ თქვენს მიერ მოთხოვნილ დოკუმენტებს შეამოწმეთ:

- შეესაბამება, თუ არა საინვენტარიზაციო შეთანხმებაში დაფიქსირებული მონაცემები (დოკუმენტებში დაფიქსირებული ნაკვეთის ფართობი, მასზე არსებული ქონება, ნარგავები და ა.შ.) რეალობას;
- ემთხვევა, თუ არა საინვენტარიზაციო შეთანხმების მონაცემები ხელშეკრულების მონაცემებს;
- გაკმაყოფილებთ, თუ არა

თქვენს მიერ დოკუმენტებში აღმოჩენილი შეუსაბამობები უნდა შესწორდეს!

ცვლილებების შეტანისათვის კომპანია ბრიტიშ პეტროლიუმმა (პროექტის მიწის შეძენის ჯგუფმა) თუ მოვთხოვთ მტკიცებულებების წარდგენა, მოსთხოვეთ მათ განვიმარტონ:

- თუ რა სახის მტკიცებულებები უნდა წარადგინოთ (დოკუმენტურად დასაბუთებული, სიგევიერი და სხვა);
- დოკუმენტური მტკიცებულებების მოთხოვნის შემთხვევაში, თუ საიდან უნდა მოიპოვოთ ისინი (მაგ. რაიონის (ქალაქის) მიწის მართვის სამმართველოდან თუ სხვა ორგანიზაციებიდან).

გაითვალისწინეთ!
შეგყობინების პაკეტს მიღებიდან, მტკიცებულებების მოპოვებისათვის თქვენ გაქვთ მინიმუმ 7 დღე.

შეგყობინების პაკეტს მიღებიდან მინიმუმ 7 დღეში თქვენსა და მიწის შეძენის ჯგუფს შორის გაიმართება მოლაპარაკება, რათა განხილულ იქნეს შეთავაზება და მიღწეულ იქნეს შეთანხმება.

გახსოვდეთ!
თქვენ უფლება გაქვთ მოლაპარაკებების მსვლელობისას დახმარებისათვის (თქვენი უფლებების დასაცავად) მოიწვიოთ გარეშე პირები (მაგ. იურისტები).

თუ მიწის შეძენის ჯგუფი უარს გეტყვით, ხელშეკრულების ფორმაში ან საინვენტარიზაციო შეთანხმებაში თქვენს მიერ აღმოჩენილი უზუსტობების შესწორებაზე:

- უარი განაცხადეთ მოლაპარაკების პირველ ეტაპზე;
- შეუთანხმდით მათ მოლაპარაკების მეორე ეტაპზე.

მოლაპარაკების მეორე ეტაპზე თუ არ იქნა გათვალისწინებული თქვენი მოთხოვნები, თქვენ შეგიძლიათ საერთოდ უარი განაცხადოთ მოლაპარაკებაზე.

მოლაპარაკების მეორე ეტაპის წარუმატებლად დამთავრების შემდეგ კომპანიას დარჩება მოქმედების ორი ვაზა:

- 1) მილსადენის მარშრუტის შეცვლა თქვენი მიწის ნაკვეთის გვერდის ავლით;
- 2) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონის თანახმად, მოხდება თქვენი მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა.

გაითვალისწინეთ.
მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის დროს თქვენ არ მიიღებთ ნაკლებ ანაზღაურებას!

თქვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჩამორთმევას კომპანია “ბი-პი” განახორციელებს “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონით დადგენილი წესის მისელებით. ამ კანონის მოთხოვნები კი, საკმაოდ მკაცრია ექსპროპრიაციის (ანუ ამ შემთხვევაში კომპანია “ბი-პის” მიმართ.

იმისათვის, რომ “ბი-პი“-მ ჩამოგართვათ მიწის ნაკვეთი:

- 1) მას საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით უნდა მიენიჭოს საკუთრების ჩამორთმევის უფლება;
- 2) საოლქო სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება საკუთრების ჩამორთმევის

